სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

გალასაცალეში

სექტემბერი №17

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

gamomcemeli: Sps biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
~gadasaxadebi~

registrirebulia #04-06 65, 10.08.2009 *Registred* #04-06 65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD

Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali „gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine **"GADASAKHADEBI"**
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: **Sps 'biznes inteleqti~**
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / FFormal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-50

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---------- 51-54

gadasaxadebi #17, 2019
GADASAKHADEBI #17, 2019

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სადაზღვევო ბროკერი – ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეს;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]“ ქვეპუნქტი:

„თ[1]) დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა – დაზღვევის ხელშეკრულების/გადაზღვევის ხელშეკრულების დასადებად პირის მიერ განხორციელებული საშუამავლო ანაზღაურებადი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედებებიდან ერთ-ერთს მაინც:

თ[1].ა) დაზღვევის ხელშეკრულების/გადაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით შეთავაზებას;

თ[1].ბ) დაზღვევის ხელშეკრულების/გადაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას, დაზღვევის ხელშეკრულების დადების ორგანიზებას;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

თ[1].გ) მზღვეველის სახელით დაზღვევის ხელშეკრულების დადებას ან/და გადამზღვეველი კომპანიის სახელით გადაზღვევის ხელშეკრულების დადებას;

თ[1].დ) დაზღვევის ხელშეკრულების/გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზარალის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის პროცედურების ადმინისტრირებას;

თ[1].ე) მზღვეველის/დამზღვევის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში დაზღვევის ხელშეკრულების/გადაზღვევის ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობას, სადაზღვევო პრემიის შეკრებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის უფლების ჩათვლით;";

გ) „ჟ" და „რ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) მნიშვნელოვანი წილი – მზღვეველის/სადაზღვევო ბროკერის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილი, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი მონაწილეობით ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

რ) ადმინისტრატორი – მზღვეველის შემთხვევაში – მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი; სადაზღვევო ბროკერის შემთხვევაში – სადაზღვევო ბროკერის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს (არსებობის შემთხვევაში) წევრი, ინდივიდუალური მეწარმე; უშუალოდ ინდივიდუალური მეწარმე;";

დ) „ქ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ" ქვეპუნქტი:

„ღ) მომხმარებელი:

ღ.ა) სადაზღვევო მომსახურების მიღების განზრახვის მქონე ფიზიკური პირი ან დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე – დამზღვევი ფიზიკური პირი;

ღ.ბ) დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ყველა ეტაპზე – დამზღვევი, დაზღვეული, მოსარგებლე ან/და მესამე პირი (სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევიდან გამომდინარე, პირი, რომელსაც ზიანი მიადგა).".

2. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6[1] და 6[2] პუნქტები:

„6[1]. მზღვეველი ვალდებულია იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპებით და სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს ამ პრინციპების დაცვით.

6[2]. მზღვეველი ვალდებულია ჰქონდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცედურები და უზრუნველყოს მათი დაცვა მომხმარებელთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკას ამტკიცებს მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცედურებს – მზღვეველის დირექტორი, რომელსაც მინიჭებული აქვს სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.".

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი

1. დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებენ დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი.

2. მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს როგორც უშუალოდ, ისე დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ შესაბამისი წესით რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით.

3. დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობად არ მიიჩნევა ამ კანონის მე-2 მუხლის „თ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა, თუ მას მზღვეველი ან მისი თანამშრომელი ახორციელებს, აგრეთვე სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პირის მიერ მომხმარებლისთვის იმგვარი დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანი არ არის მისთვის დაზღვევის ხელშეკრულების დადებაში/შესრულებაში დახმარების გაწევა, ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში სადაზღვევო ორგანიზაციის ზარალის/საჩივრის მართვა/დარეგულირება ან საექსპერტო შეფასება.

4. იმ პირის საფირმო სახელწოდება, რომელიც სადაზღვევო ბროკერის საქმიანობას ახორციელებს, უნდა შეიცავდეს სიტყვებს „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვების გამოყენებით სხვა სიტყვათწყობას. არავის აქვს უფლება, სამსახურის მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე თავის საფირმო სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვები „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვების გამოყენებით სხვა სიტყვათწყობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიტყვების „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვების გამოყენებით სხვა სიტყვათწყობის გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან როდესაც კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია სიტყვები „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვების გამოყენებით სხვა სიტყვათწყობა, იკვეთება, რომ შესაბამისი პირი არ ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას.

5. სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციას ახორციელებს და სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციას აუქმებს სამსახური. სამსახური აწარმოებს სადაზღვევო ბროკერთა რეესტრს (მათ შორის, ელექტრონულ რეესტრს), რომელიც მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში უნდა განახლდეს. სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის, მის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის ან მისი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მონაცემები სამსახურის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება სადაზღვევო ბროკერთა რეესტრში და ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

6. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია სადაზღვევო ბროკერის საქმიანობის დაწყებამდე რეგისტრაციისთვის განცხადებით მიმართოს სამსახურს და წარუდგინოს მას დოკუმენტები/ინფორმაცია, რომლებიც/რომელიც ადასტურებს ამ სადაზღვევო ბროკერის მიერ სამსახურის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული სარეგისტრაციო პირობების დაკმაყოფილებას, მათ შორის, დამფუძნებლისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობას.

7. სადაზღვევო ბროკერს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის დაწყების უფლება აქვს სამსახურის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით მისი სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის შემდეგ.

8. დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მზღვეველთან/დამზღვევთან/გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

9. დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერისთვის გადახდილი სადაზღვევო შენატანები მზღვეველისთვის მათი გადაცემის ფაქტისგან დამოუკიდებლად მზღვეველისთვის გადახდილად მიიჩნევა.

10. დაზღვევის შუამავლის მეშვეობით გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება გაცემულად მიიჩნევა დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მისი ფაქტობრივად მიღების შემდეგ.

11. მზღვეველს, დაზღვევის აგენტს, სადაზღვევო ბროკერს ეკრძალება დაზღვევის ხელშეკრულების უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის სახელით დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც მხოლოდ საქართველოს ფარგლების გარეთ გამოიყენება.

12. დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებული არიან დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებისას მზღვეველს შეატყობინონ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რომლებიც მათთვისაა ცნობილი.

13. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას, დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას და მასში ცვლილების შეტანისას მომხმარებელს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) თავისი საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) ინფორმაცია მისი სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციისა და უფლებამოსილების ფარგლების შესახებ;

გ) ინფორმაცია ამ სადაზღვევო ბროკერის მიერ მზღვეველში მნიშვნელოვანი წილის ფლობის ან მზღვეველის მიერ ამ სადაზღვევო ბროკერის მნიშვნელოვანი წილის ფლობისა და აღნიშნული წილის (არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დ) მზღვეველის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული დაზღვევის პირობები;

ე) დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ისეა შედგენილი, რომ სრულად შეესაბამება მომხმარებლის მიერ დაზღვევის შესახებ განაცხადში ასახულ დასაზღვევ რისკებს;

ვ) ინფორმაცია დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესახებ, კერძოდ, სადაზღვევო შენატანის, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის, ზარალის დარეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების წესისა და პირობების, დადგენილი შეზღუდვებისა და დაზღვევის ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების შესახებ; აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებელს დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე უნდა მიეწოდოს;

ზ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო ბროკერის მიერ შუამავლობის გაწევისთვის დადგენილი გასამრჯელოს თაობაზე;

თ) ინფორმაცია სადაზღვევო პოლისის შინაარსისა და დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;

ი) ინფორმაცია მომხმარებლის მიერ პრეტენზიის წარდგენის წესის შესახებ;

კ) ინფორმაცია იმის შესახებ, თანამშრომლობს თუ არა სადაზღვევო ბროკერი ერთზე მეტ მზღვეველთან. სადაზღვევო ბროკერის ერთზე მეტ მზღვეველთან თანამშრომლობის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ამ მზღვეველების საფირმო სახელწოდებების თაობაზე;

ლ) დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკონსულტაციო ინფორმაცია.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმატითა და ენით, წერილობით ან ინფორმაციის ელექტრონულად შენახვის საშუალებით/ხანგრძლივად შენახვის საშუალებით, რომელიც, ამ ინფორმაციის შენახვის გარდა, უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებლისთვის მომავალშიც ხელმისაწვდომი იყოს ეს ინფორმაცია მისი მთლიანობის დაურღვევლად, გარდა გადაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ ინფორმაციისა. გადაუდებელი აუცილებლობის ან მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს ზეპირად, დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ სადაზღვევო ბროკერის მიერ მისი ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიწოდების ვალდებულების შესრულებით.“.

4. III თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა“.

5. მე-14 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„5. მზღვეველი ვალდებულია სამსახურის მიერ დადგენილი პერიოდულობით, ფორმითა და წესით გამოაქვეყნოს ფინანსური ანგარიშგება, სტატისტიკური ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა.“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. მზღვეველი ვალდებულია სამსახურის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით გამოაქვეყნოს ინფორმაცია აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^1 მუხლი:

„მუხლი 16^1. სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის პირობებ ი

1. სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალი/საგარანტიო ფონდი და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

2. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალურ ოდენობას. ეს ფულადი სახსრები დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უწყვეტად, არანაკლებ 1-წლიანი პერიოდულობით, განთავსებული უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (საბანკო დაწესებულებებში) ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე (ანგარიშებზე).

3. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს სამსახურის მიერ დადგენილი წესით (მათ შორის, ლიმიტები, დაზღვევის პირობები) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას.

4. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას განცალკევებულად აწარმოოს საკუთარი ანგარიში და მომხმარებლის ანგარიში საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე. დაუშვებელია მომხმარებლის ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენება, გარდა მისი მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის სახით გადაცემისა და დაზღვეულისთვის სადაზღვევო ანაზღაურების სახით გადაცემისა. ამ ანგარიშზე აკუმულირებული სახსრები სამეურვეო ქონებაში არ შედის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, აღნიშნული ანგარიშის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება და ღონისძიება.

5. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო კალენდარული წლის 15 აპრილამდე სამსახურს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადებული წინა წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება.“.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

7. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20[1] მუხლი:

„მუხლი 20[1]. მომხმარებლის უფლებების დაცვა

1. მზღვეველი და დაზღვევის შუამავალი ვალდებული არიან უზრუნველყონ მომხმარებლის უფლებების დაცვა მომხმარებელთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედებისა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების სრულად შესრულების ყველა ეტაპზე. ამასთანავე, მზღვეველი ვალდებულია დაიცვას მომხმარებლის უფლებები სამსახურის მიერ დადგენილი წესით და ამ მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცედურების შესაბამისად.

2. სამსახური უფლებამოსილია მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველისა და დაზღვევის შუამავლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

3. სამსახური უფლებამოსილია მომხმარებლის უფლებების დაცვის ზედამხედველობის მიზნით საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად გამოითხოვოს და დაამუშაოს განმცხადებლის ან/და სხვა მომხმარებლის (მომხმარებლების) შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, ხოლო მზღვეველი და სადაზღვევო ბროკერი ვალდებული არიან სამსახურს მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია.

4. მომხმარებელს უფლება აქვს, მზღვეველის ან დაზღვევის აგენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს მზღვეველის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, სასამართლოს ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერ სხვა საჯარო დაწესებულებას ან კერძო დაწესებულებას, ხოლო მზღვეველის ან დაზღვევის აგენტის მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში – მიმართოს აგრეთვე სამსახურს.

5. მომხმარებელს უფლება აქვს, სადაზღვევო ბროკერის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერ სხვა საჯარო დაწესებულებას ან კერძო დაწესებულებას, ხოლო სადაზღვევო ბროკერის მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში – მიმართოს აგრეთვე სამსახურს.“.

8. 21-ე მუხლის:

ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ეს დოკუმენტები, აგრეთვე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერისგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გ) მზღვეველის, სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სანქციები;";

ბ) „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სადაზღვევო ორგანიზაციისა და სადაზღვევო ბროკერისთვის დაადგინოს შიგა აღრიცხვის მოთხოვნები;";

გ) „მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქციები და ნორმატიული აქტები სადაზღვევო საქმიანობისა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის რეგულირების შესახებ;";

დ) „მ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$" ქვეპუნქტი:

„$მ^1$) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ამ კანონის 20^1 მუხლით დადგენილი უფლებამოსილების განსახორციელებლად;";

ე) „პ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) დაადგინოს მზღვეველის ანგარიშგების ფორმები (ფინანსური, სტატისტიკური და სხვა) და მათი წარდგენის პროცედურა;";

ვ) „ს" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) დაადგინოს სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის, მისი რეგისტრაციის გაუქმებისა და სადაზღვევო ბროკერის, როგორც დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის დამოუკიდებლად განმახორციელებელი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის, მიერ ანგარიშგების წარდგენის წესი, აგრეთვე სადაზღვევო ბროკერის დამფუძნებლისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები;";

ზ) „უ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ"–„ყ" ქვეპუნქტები:

„ფ) დაადგინოს სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობა და შესაბამისი მოთხოვნები;

ქ) დაადგინოს სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი;

ღ) განიხილოს მომხმარებლის განცხადებები მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის თაობაზე;

ყ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობის კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვით განხორციელებას.".

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

9. 21^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. სამსახური უფლებამოსილია სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის 2^2 პუნქტით განსაზღვრული სანქციები, თუ სადაზღვევო ბროკერმა ან ადმინისტრატორმა დაარღვია:

ა) ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის რომელიმე ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;

ბ) ანგარიშგების წარდგენის წესი ან ვადა ანდა წარადგინა არასწორი ანგარიშგება ან სხვა არაზუსტი ინფორმაცია.

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტით განსაზღვრული დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სამსახურს უფლება აქვს, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სახის სანქციები:

ა)სადაზღვევო ბროკერს ან ადმინისტრატორს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ სადაზღვევო ბროკერმა შეწყვიტოს და აღარ დაუშვას შესაბამისი დარღვევა და სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ზომები ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ) სადაზღვევო ბროკერს ან/და ადმინისტრატორს სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილი ოდენობით დააკისროს ფულადი ჯარიმა;

დ) სადაზღვევო ბროკერს გაუუქმოს რეგისტრაცია.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულმა სადაზღვევო ბროკერებმა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან უზრუნველყონ ამავე კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4, მე-13 და მე-14 პუნქტების მოთხოვნების შესრულება.

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა 2019 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ზ“, „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21^1 მუხლის 2^2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 16^1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 16^1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 სექტემბერი 2019 წ.

N4939-Iს

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №421

2019 წლის 2 სექტემბერი, ქ. თბილისი

„დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/11/2014, 470230000.10.003.018244) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის“:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა:

ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე და მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამ მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში ადამიანური რესურსის მომზადების საშუალებით;

ბ) დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

გ) პროფესიული რეგულირების არსებული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა;

დ) სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი სოფლის ექიმების (შემდგომში – სოფლის ექიმები) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვის მიმართულებით.“.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. პროგრამის ღონისძიებები

პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობების მაძიებელთა (შემდგომში – მაძიებელი) დიპლომისშემდგომი განათლების(პროფესიული მზადების) მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დაფინანსება №1[1] დანართით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობებში;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დაფინანსება;

დ) საექიმო სპეციალობებში: „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“, „ინფექციური სნეულებები“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „გასტროენტეროლოგია“, „ნეფროლოგია“, „რევმატოლოგია“, „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“, „ბავშვთა ნევროლოგია“, „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, „დერმატო-ვენეროლოგია“, „უროლოგია“, „კარდიოქირურგია“, „ოტორინოლარინგოლოგია“, „ოფთალმოლოგია“, „ნეიროქირურგია“, „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“, „კლინიკური ონკოლოგია“, „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია“, „სასამართლო მედიცინა“, „ბავშვთა ქირურგია“ – ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზების განახლება;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ე) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ და „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ. შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება;

ვ) სოფლის ექიმების გადამზადება გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვის მიმართულებით.“.

3. **მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი**:

„5. პროგრამის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სოფლის ექიმების გადამზადების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის თანახმად:

ა) პროგრამის სამიზნე პოპულაციაა საქართველოს მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული სოფლის ექიმები;

ბ) სოფლის ექიმების მზადების განმახორციელებელი დაწესებულებები (შემდგომში – მზადების განმახორციელებელი) შეირჩევა„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) მზადების განმახორციელებელი (განმახორციელებლები) ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სოფლის ექიმების გადამზადება გავრცელებული ქრონიკული დაავადებების (მ. შ., არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ბრონქული ასთმა, შაქრიანი დიაბეტი მეორე ტიპის, ეპილეფსია, პარკინსონი) მართვის მიმართულებით მათ მიერ ამ მიზნით მომზადებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული შესაბამისი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამით(პროგრამის ხანგრძლივობა- 2 დღე(12 აკადემიური საათი));

დ) კომპონენტის განხორციელება მოიცავს ორ ფაზას:

დ.ა) პირველი ფაზა – „ტრენინგის ორგანიზება“, რომლის ფარლებშიც მზადების განმახორციელებელი (განმახორციელებლები) ვალდებულია(ვალდებულნი არიან), უზრუნველყოს(უზრუნველყონ):

დ.ა.ა) ტრენინგების გეგმა-გრაფიკის შედგენა (ბენეფიციართა სია მიწოდებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ) და ტრენინგის ჩატარების ლოკაციების განსაზღვრა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. ამასთან, ერთ ჯგუფში ექიმთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს20-ს;

დ.ა.ბ) ტრენინგის ბენეფიციართა შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება;

დ.ა.გ) ტრენინგის ბენეფიციართა ინფორმირება ტრენინგის თაობაზე (მ. შ., ტრენინგის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ);

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დ.ბ) მეორე ფაზა – „ტრენინგის ჩატარება“, რომლის ფარგლებშიც მზადების განმახორციელებელი (განმახორციელებლები) ვალდებულია(ვალდებულნი არიან), უზრუნველყოს(უზრუნველყონ):

დ.ბ.ა) სასწავლო პროცესის ჩატარებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის მოძიება/დაქირავება;

დ.ბ.ბ) სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, მ.შ., სასწავლო პროცესის ჩატარება საკმარისი რაოდენობის პედაგოგიური რესურსის საშუალებით;

დ.ბ.გ) ტრენინგის ბენეფირებისთვის სასწავლო მასალის მიწოდება;

დ.ბ.დ) ტრენინგის განხორციელების მონიტორინგი;

დ.ბ.ე) ტრენინგის ბენეფიციართა ელექტრონული ბაზის შექმნა;

დ.ბ.ვ) ტრენინგის ბენეფიციართა კვება(ე. წ., საუზმე);

დ.ბ.ზ) ტრენინგის ბენეფიციართა განსახლება;

ე) გარკვეულ შემთხვევებში (შესაბამისი დოკუმენტების წამოდგენისას) მზადების განმახორციელებელი (განმახორციელებლები) ასევე ვალდებულია (ვალდებულნი არიან) აანაზღაუროს (აანაზღაურონ) ტრენინგის ბენეფიციარის მიერ ტრანსპორტირებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი;

ვ) პროგრამაში ჩართული მზადების განმახორციელებელი (განმახორციელებლები) დაფინანსდება (დაფინანსდებიან) ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.“.

4. **მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი**:

„3. აღნიშნული პროგრამის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტისათვის მზადების განმახორციელებლის (განმახორციელებლების) დაფინანსების წესი და ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

ა) ანაზღაურება განხორციელდება ტრენინგის ჩატარების შემდეგ, ყოველთვიურად, შესაბამისი თვის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე გადაანგარიშებით. ამასთან, ერთ ბენეფიციარზე ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა ტრენინგის ფარგლებში განისაზღვრება არაუმეტეს350 (სამას ორმოცდაათი) ლარით;

ბ) მზადების განმახორციელებლის (განმახორციელებლების) მიერ წარმოდგენილი ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი მამუკა ბახტაძე

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №426

2019 წლის 2 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/11/2018, 300160070.10.003.020839) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოში იმპორტირებული ყურძნის, ყურძნის ტკბილის, დურდოს, ყურძნის წვენის, მისტელის, მადუღარი ტკბილის, მადუღარი დურდოს ან მაჭრის გადამუშავება ან გამოყენება ალკოჰოლიანი სასმლის წარმოების მიზნით ან ასეთი საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №427

2019 წლის 2 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ფარმაცევტული პროდუქტის მიკვლევადობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №189 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფარმაცევტული პროდუქტის მიკვლევადობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №189 დადგენილებაში (129, 22/10/2009) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. **„ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების (დანართი №1):**

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფარმაცევტული პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას ექვემდებარება აღნუსხვას ამ წესის შესაბამისად.

2. საბაჟო პროცედურის განხორციელებისას ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვას ახორციელებს შემოსავლების სამსახური.“;

ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ა) პირველი-მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან ექსპორტის პროცედურის გამოყენების მიზნით საბაჟო დეკლარაციის („ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის“ გარდა) წარდგენისას დეკლარანტი ვალდებულია, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით წარადგინოს ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმა, შევსებული ქართულ ენაზე, სადაც სავალდებულო წესით მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გამოყენებული საბაჟო პროცედურის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) ან ექსპორტი) დასახელება, გაფორმების ადგილი, იმპორტიორის ან ექსპორტიორის დასახელება, დეკლარანტის საიდენტიფიკაციო ნომერი და ფარმაცევტული პროდუქტის განთავსების მისამართი;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ) ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, ფორმა, დოზა, საჭიროების შემთხვევაში, კონცენტრაცია, შეფუთვაში პრეპარატის რაოდენობა;

გ) იმპორტის შემთხვევაში – ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების რეჟიმი (ეროვნული ან აღიარებითი);

დ) იმპორტის შემთხვევაში – საქართველოს ბაზარზე უკვე დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტის განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანისას იმ ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს დასახელება, რომლის მიერაც აღნიშნული ფარმაცევტული პროდუქტი დაშვებულია შესაბამის ბაზარზე;

ე) მწარმოებელი კომპანია და მწარმოებელი ქვეყანა;

ვ) რაოდენობა სერიების მიხედვით და ათვლის ერთეული;

ზ) ერთეულის ფასი, ჯამური თანხა და ვალუტა;

თ) ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი;

ი) საქონლის დანიშნულება;

კ) იმპორტის შემთხვევაში – მომწოდებლის დასახელება, მისამართი და მომწოდებელი ქვეყანა, ექსპორტის შემთხვევაში – მიმღების დასახელება, მისამართი და მიმღები ქვეყანა;

ლ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ან/და მათთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების შემთხვევაში – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვისა და წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის გაცემის თარიღები და ნომრები;

მ) ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმის რეგისტრაციის თარიღი.

1^1. ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის)/ექსპორტის პროცედურაში მოქცეული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3004 სასაქონლო პოზიციით კლასიფიცირებული, იმპორტის/ექსპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებული ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვა ხორციელდება ამ დეკლარაციაში გაცხადებული ინფორმაციის გამოყენებით.

2. ფარმაცევტული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან ექსპორტის პროცედურის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველია საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე (გარდა კანონ-მდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის (ტერიტორიიდან გატანის) მცდელობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. ასეთ შემთხვევაში, ფარმაცევტული პროდუქტ(ებ)ი შენახვის პირობების სავალდებულო უზრუნველყოფით ინახება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, საკითხის გარკვევამდე.“;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ.ბ) მე-6 და 6[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე წარდგენილ ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმაში შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი მიუთითებს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შეფასების A ნომერს (საბაჟო დეკლარაციის ფორმა №4-ის შემთხვევაში – რეგისტრაციის ნომერს), რის შემდგომაც ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმა მიმდინარე რეჟიმში ხელმისაწვდომია სააგენტოს უფლებამოსილი პირებისათვის. ამ მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციისათვის შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შეფასების A ნომრის მინიჭების შემდგომ, აღნიშნული დეკლარაცია მიმდინარე რეჟიმში ხელმისაწვდომია სააგენტოს უფლებამოსილი პირებისათვის.

6[1]. სააგენტოს უფლებამოსილი პირები ყოველთვიურად, მიმდინარე თვის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებენ ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმაში/ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ ინფორმაციას (გარდა პერსონალური მონაცემებისა, ასევე კომერციულ და საბაჟო/საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა) საანგარიშო პერიოდში ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანასთან ან/და გატანასთან დაკავშირებით.“.

2. **„ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმის შევსების წესის“ (დანართი №3):**

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი განსაზღვრავს ფარმაცევტული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმის შევსების წესს.“;

ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გრაფაში – „იმპორტიორი/ექსპორტიორი“ – აღინიშნება დეკლარანტის სრული დასახელება სამართლებრივი ფორმის მითითებით, ასევე მიეთითება საბაჟო პროცედურის დასახელება – „იმპორტი“ (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში) ან „ექსპორტი“.“;

ბ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გრაფაში – „ფარმაცევტული პროდუქტის განთავსების მისამართი“ – მიეთითება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) შემდეგ ფარმაცევტული პროდუქტის ადგილმდებარეობა, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში – ადგილმდებარეობა, საიდანაც ხორციელდება ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტი; მისამართის ცვლილების შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი მამუკა ბახტაძე

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №429

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

2019-2020 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით:

1. 2019-2020 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვროს 1,845,000 ლარის ოდენობით.

2. 2019-2020 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობა (შემდგომში – სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა) განისაზღვროს შემდეგი ოდენობების მიხედვით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/ პროგრამის მოდული	სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა (ლარი)
ქართული ენა, ლიტერატურა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2150
მათემატიკა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2150
გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2150
ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
სამოქალაქო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	1900
სპორტი	1850
ინგლისური ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
გერმანული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
რუსული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
ფრანგული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	2250
მუსიკა	2150
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	2200.

3. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის მოდულის საფასურის განსაზღვრა საქართველოს მოქალაქეებისათვის უზრუნველყონ არა უმეტეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობების შესაბამისად.

4. თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე კერძო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის საფასური აღემატება შესაბამისი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას, სახელმწიფო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სწავლის საფასურს დაფარავს მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის ფარგლებში.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

5. თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის საფასური ნაკლებია შესაბამის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობაზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა გაუტოლდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საფასურს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №430

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №740 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №740 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2014, 360160000.10.003.018360) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლის წესის“:

1. **პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობები.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

4. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (შემდგომში – გენმოდიფიცირებული ორგანიზმი) ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლი

1. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო ან/და სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებთან ერთად, შესაბამისი კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას:

ა) ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით შემოტანის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი (საქონლის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, საბაჟო გამშვებ პუნქტს, საქონლის თანმხლებდოკუმენტებთან ერთად, წარუდგინოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზია და გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობა (რომელიც ადასტურებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის შესაბამის ლიცენზიაში აღნიშნული მიზნებისათვის იმპორტის უფლებას);

ბ) ტრანზიტის მიზნით გადაადგილების შემთხვევაში (რაც არ საჭიროებს ლიცენზიას), პასუხისმგებელი პირი (საქონლის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, საბაჟო გამშვებ პუნქტს, საქონლის თანმხლებდოკუმენტებთან ერთად, წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანზიტის განმახორციელებელი პირის განცხადების (შეტყობინების) დაკმაყოფილების შესახებ;

გ) ექსპორტის მიზნით გადაადგილება არ საჭიროებს ლიცენზიას და პასუხისმგებელი პირი (საქონლის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, საბაჟო გამშვებ პუნქტს, საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, წარუდგინოს სამინისტროს გადაწყვეტილება ექსპორტიორის წინასწარი შეტყობინების (განცხადების) დაკმაყოფილების შესახებ.

3. გენმოდიფიცირებული ორგანიზმი დაექვემდებარება უკან გაბრუნებას ან განადგურებას საქონლის მფლობელის ხარჯით, თუ:

ა) არ სრულდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები; ან

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ) იგი განკუთვნილია იმპორტისათვის (გარდა ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტისათვის განკუთვნილისა) ან რეექსპორტისათვის.“.

3. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა

1. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შემოსავლების სამსახურს პერიოდულად და, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აწვდის კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას (გაცემული ლიცენზია, შეტყობინებაზე თანხმობის მიცემა და სხვა).

2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი, „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თაობაზე ინფორმაციას შემოსავლების სამსახური დაუყოვნებლივ უგზავნის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

3. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით, იმპორტის განხორციელებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულად წარუდგინოს ინფორმაცია იმპორტირებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის რაოდენობისა და მწარმოებლის შესახებ.“.

4. მე-4 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლს დაქვემდებარებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იდენტიფიცირება“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლს დაქვემდებარებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იდენტიფიცირების მიზნით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ინფორმაცია, რომელიც მიიღება:

ა) ეტიკეტზე ან საქონლის შეფუთვაზე განთავსებული მონაცემებით;

ბ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსპორტირებისას თანდართულ დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით;

გ) საქონლის ლაბორატორიული ანალიზით, რომელიც ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ (გარდა ამ მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში.“;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ლაბორატორიული ანალიზის პასუხის მიღებამდე საქონელი ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში შეჩერებას, ხოლო როდესაც არ არსებობს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქციის რისკი და საქონელი აკმაყოფილებს ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლის სხვა მოთხოვნებს, შესაძლებელია საქონლის საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ გადატანა გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში – შენახვის სხვა ადგილზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №433

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“:

1. **მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, ასევე საბაჟო ორგანოს საწყობი ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა ადგილი, სადაც კონტროლის ობიექტების მიმართ ხორციელდება ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;“.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიკატის გაცემისათვის აუცილებელია:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №431

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სპეციალური სავაჭრო ზონის ფუნქციონირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №493 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალური სავაჭრო ზონის ფუნქციონირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №493 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2011, 200250000.10.003.016653) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სსზ-ის ტერიტორიაზე ორგანიზატორს უფლება აქვს, მოაწყოს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო საწყობი (შემდგომში – საწყობი), რომელიც წარმოადგენს საბაჟო კონტ-როლის ზონას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №432

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №327 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №327 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/07/2015, 340090000.10.003.018712) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ვეტერინარული პრეპარატი, რომლის შემოტანა ხდება საქონლის საბაჟო საწყობში/საბაჟო ორგანოს საწყობში შენახვის ან/და ტრანზიტის პროცედურაში მოქცევისათვის;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №435

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №185 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №185 დადგენილებაში (სსმ III, №120, 19/10/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნებართვის ელექტრონულად გაცემის შემთხვევაში, როდესაც შემოსავლების სამსახურისათვის ხელმისაწვდომია ნებართვების ელექტრონული ბაზა, მისი დედნის წარდგენა საბაჟო ორგანოში სავალდებულო არ არის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №439

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2017, 010240030.10.003.019877) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. **პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროებში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს; კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და აწარმოებს გამოძიებას; უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების განკარგვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას; ახორციელებს სათამაშო ბიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას; უზრუნველყოფს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას.

2. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს საბაჟო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერმინისტრის სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.“.

2. **მე-3 მუხლის**:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ა) „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკისა და კანონმდებლობის ფორმირება, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება; საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა; ამ მიზნით სათანადო წინადადებათა მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;“;

ბ) „ჩ“ და „ც“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩ) საგადასახადო, საბაჟო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

ც) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;“;

გ) „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, გამოვლენა-აღკვეთა, გამოძიების წარმოება; საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება;“.

3. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) განსაზღვრავს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს;“.

4. მე-17 მუხლის:

ა) „ე“ – „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობაში ინიციირებული ცვლილებების ტესტირება და მოდელირება;

ვ) საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობაში ინიციირებული წინადადებების განხილვისა და შერჩევის პროცესის კოორდინაცია, ყველა საჭირო მხარის ჩართულობით;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ზ) საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შეფასება, მიღებული შედეგების ანალიზი და რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

თ) საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ წინადადებათა მომზადება;";

ბ) „ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.".

5. მე-20 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოში წარდგენილი საგადასახადო ან/და საბაჟო დავების შესახებ მასალების დამუშავება და საბჭოს სხდომების ორგანიზება;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №441

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სპეციალური საწარმოს სტატუსის მაძიებელი პირისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალური თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №186 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალური საწარმოს სტატუსის მაძიებელი პირისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალური თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №186 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/04/2019, 010080000.10.003.021201) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. **მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქონლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მიწოდება ან/და საქართველოს ტერიტორიიდან (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიისა) კანონის შესაბამისად ექსპორტის პროცედურაში მოქცევა;“.

2. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) თანხმობა მასზედ, რომ იგი თანახმაა მის შესახებ საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაციის ამ წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პირებისთვის გადაცემაზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №444

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/11/2018, 300160070.10.003.020869) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ სპირტიან სასმელებზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურის განსაზღვრისას სავალდებულოდ წარსადგენი შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის – მწარმოებლის მიერ გაცემული შესაბამისობის დეკლარაციის ან სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის გამოყენებით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №446

2019 წლის 4 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/10/2018, 300160070.10.003.020792) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 1^2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, საქონლის მიმართ საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №452

2019 წლის 13 სექტემბერი, ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2019, 470230000.10.003.021024) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ე“ ქვეპუნქტი:

„გ.ე) 12 (თორმეტი) ერთეული სპეციალიზებული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანის შესყიდვა;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ქ. რუსთავში ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრის საპროექტო მომსახურების შესყიდვა;“.

2. **მე-3 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ პროგრამის მე-2 მუხლის „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“, „ბ“, „გ.ა“, „გ.ბ“, „გ.გ“, „გ.დ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო „გ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის:	8 099.7
	1.1. საშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	764.0
	1.2. აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით	6 899.7
	1.3. სარეზერვო გარე ელექტრომომარაგების ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	421.0
	1.4. ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა	15.0
2	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის":	1 961.7
	2.1. ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, საიჯარო გადასახადის გადახდა	461.7
	2.2. ფუნქციონირებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	1 500.0
3	სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის:	5 361.6
	3.1. 52 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფში ახალი ოფისების აღჭურვა ავეჯით	260.0
	3.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების შესყიდვა	2 808.0
	3.3. სპეციალიზებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	560.0
	3.4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფებში ახალი ოფისების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	221.0
	3.5. 12 (თორმეტი) ერთეული სპეციალიზებული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანის შესყიდვა	1 512.6
4	მპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის:	815.0
	4.1. სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების შესყიდვა	615.0
	4.2. სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	200.0
5	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა	300.0

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

6	დაბა ბაკურიანში, დაბა გუდაურსა და სხვა საკურორტო ზონებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრების (EMERGENCY) მშენებლობა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და აღჭურვა	2 124.8
7	ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების (შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი", შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი") აღჭურვა და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	600.0
8	ქ. რუსთავში ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრის საპროექტო მომსახურების შესყიდვა	50.0
9	პროგრამის ადმინისტრირება	48.0
10	„დაბა აბასთუმნის ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის" ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურისა და ინვენტარის შესყიდვა	490.0
11	ორ სერვერულ ცენტრს შორის ძირითადი და ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი („Dark Fiber") კავშირის უზრუნველყოფის შესყიდვა	28.2
12	NordDRG Grouper-პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დამატებული ღირებულების გადასახადი	121.0
	სულ:	**20 000.0.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №265

2019 წლის 3 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ახორციელებს საგადასახადო კონტროლს, საბაჟო კონტროლს და საბაჟო ზედამხედველობას, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო, არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის სასაზღვრო, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის განადგურებაზე კონტროლს, არასატარიფო ღონისძიებებს;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) მონაწილეობს გადასახადით/გადასახდელით დაბეგვრასთან, საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განხორციელებასა და კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში;“;

გ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„ტ) ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, ასევე საბაჟო პროცედურასთან/რეექსპორტთან დაკავშირებულ მომსახურებას;“.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო ორგანოები

1. აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტი და ანალიტიკური დეპარტამენტი სამსახურის სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულებია და მათგან აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი და ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენს სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო ორგანოებს, ხოლო საბაჟო დეპარტამენტი – საბაჟო ორგანოს.

2. სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო ორგანოები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით.

3. სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო ორგანოები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ დამოუკიდებლად და, საჭიროებისამებრ, თანამშრომლობენ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან.

4. სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს შესაძლებელია ჰქონდეთ ბეჭდები.“.

3. მე-14 მუხლის „ნ^{2}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ^{2}) ექსპორტის საბაჟო პროცედურით გასატანი აქციზური მარკების ნიშანდება იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით;“.

4. მე-17 მუხლის:

ა) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება და საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განხორციელება;

დ) საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის მონიტორინგი, ზედამხედველობა და ანალიზი. საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის განხორციელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისპროცესის მონიტორინგი;“;

ბ) „დ^{4}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{5}“ ქვეპუნქტი:

„დ^{5}) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის განაცხადის განხილვა და სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების შემოწმება, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონტროლი;“;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის სასაზღვრო, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების კონტროლი, აღნიშნულ საკითხებზე შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა, პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და მასში მონაწილეობა;“;

დ) „რ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ[1]) საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებული რისკის პროფილების ანალიტიკურ დეპარტამენტში წარდგენა წინადადებებისა და რეკომენდაციებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი კონფიდენციალობის დაცვით;“;

ე) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) საბაჟო საწყობების, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების, „ოქროს სიის“ მონაწილეთა საწყობების, „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის“ სტატუსის მფლობელთა საწყობების, საფოსტო გზავნილების გადამზიდველების საწყობების და საქონლის დროებითი შენახვის სხვა ადგილების კლასიფიკატორის მომზადება;“;

ვ) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების, სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის, სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის, ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატის, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა;“;

ზ) „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ[1]“ ქვეპუნქტი:

„ქ[1]) გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ მოწმობის გაცემა;“;

თ) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„შ) ჩამორთმეული სამართალდარღვევის საქონლის, საბაჟო ორგანოს ან დეკლარანტის ინიციატივით სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის, ან პროცედურის მფლობელის/საქონლის მფლობელის მიერ უცხოური საქონლის/მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონლის, ან საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უპატრონოდ ცნობილი საქონლის აღრიცხვა და ინფორმაციის ელექტრონული ან წერილობითი (როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გადაცემა შეუძლებელია) ფორმით მიწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის ან საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უპატრონოდ ცნობილი საქონლის შემთხვევაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსათვის – თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონლის შემთხვევაში;“.

5. 17^2 მუხლის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საბაჟო დეპარტამენტის მიერ მომზადებული, საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებული რისკის პროფილების განხილვა შესაბამისი კონფიდენციალობის დაცვით და წინადადებებისა და რეკომენდაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომზადება;

მ) იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების შესრულების რისკის კრიტერიუმების განსაზღვრა და საბაჟო დეპარტამენტისათვის მიწოდება რისკის პროფილების შესაქმნელად;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №269

2019 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნას შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

799	4439	ააიპ – თერჯოლის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „საპოვნელა“

2. ბიუჯეტის განმკარგველის – 1465 ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

1466	5106	ა(ა)იპ „ახალგორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

ივანე მაჭავარიანი

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-61/ნ – №274

2019 წლის 16 სექტემბერი, ქ. თბილისი

,,ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ –№5 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1. „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ-№5 ერთობლივ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 060111, 06/01/2011; 470230000.22.035.016039) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან) შენიშვნის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს მწარმოებლის წერილობითი დასტური, რომ საქონელი წარმოადგენს ამინომჟავის ფორმულაზე დამზადებულ ჰიპოალერგიულ საკვებს ან რძის ცილის ინტენსიური ჰიდროლიზის შედეგად მიღებულ საკვებს.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №187/ნ

2019 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) და ბრძანების პირველი მუხლით დადგენილი საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების:

1. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ეს დანართი არეგულირებს საჯარო სკოლების (შემდგომში – სკოლა) მასწავლებელთა/მასწავლებლობის მაძიებელთა (შემდგომში – მასწავლებელი), ასევე სპეციალურ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას და პირობებს.“.

2. **მე-2 მუხლის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში – სქემა) განსაზღვრული სტატუსი – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე, მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;“;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ) „დ“ - „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პრაქტიკოსი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

ე) უფროსი მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სქემით დადგენილი წესით განაწილებულია სქემაში უფროს მასწავლებლად ან მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი;

ვ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სქემით დადგენილი წესით განაწილებულია სქემაში წამყვან მასწავლებლად ან მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი;

ზ) მენტორი – მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სქემით დადგენილი წესით მიენიჭება მენტორის სტატუსი;“.

გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქ ვეპუნქტი:

„ი) მასწავლებლობის მაძიებელი – პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში) და რომელიც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, არაუმეტეს 2 წლისა დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;“.

3. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი ეძლევა:

ა) მასწავლებელს, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ან მენტორის სტატუსი და შესაბამის საფეხურზე ასწავლის იმ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ) განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი და ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნებს.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობა:

ა) უფროსი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 470 ლარით;

ბ) წამყვანი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 850 ლარით;

გ) მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის განისაზღვრება 1150 ლარით.“.

4. **მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამომყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე შემდეგი გაანგარიშებით: სრული დატვირთვის თანამდებობრივი სარგო შეფარდებული 18 (სრული დატვირთვის საგაკვეთილო საათი) და გამრავლებული დამატებით საგაკვეთილო საათების ჯამურ ოდენობაზე.

5. **მე-13 მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაანგარიშების გზა:

ა) დანართი №2, სადაც მოცემულია 5-დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოები (ჩვენს შემთხვევაში მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 542.70 ლარს);

ბ) დანართი №4, სადაც მოცემულია სწავლება კლასკომპლექტით, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები (ჩვენს შემთხვევაში დანამატი შეადგენს 40.50+101.25=141.75 ლარს);

გ) უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი, რომელიც შეადგენს ამ ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ოდენობას;

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დ) უნდა შეიკრიბოს ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები (542.70 +141.75+470.00=1,154.45 ლარი), ანუ მასწავლებლის ერთი თვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 1,154.45 ლარს.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5-დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

	განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო სტაჟი	**კოეფიციენტები**	**მასწავლებელი** **სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა)**
	კოეფიციენტი		**0.15**
	განათლება და კვალიფიკაცია		**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	402.98
2	პროფესიული განათლება	**0.9**	449.55
3	ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	**1.0**	496.13
4	მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება	**1.1**	542.70
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	**1.2**	589.28
	სამუშაო სტაჟი X		
6	**5 წელი < X ≤10 წელი**	**0.5**	-
	საბაზო თანამდებობრივი სარგო = 1თვე	**405**	

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან.

საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-14

2019 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 22/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 350080000.64.076.016059) პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული „ციფრული ფორმები“ (დანართი №1) და „კონსოლიდირებული ციფრული ფორმები“ (დანართი №2) დამტკიცდეს თანდართული რედაქციებით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №31338

2019 წლის 11 სექტემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 6 ოქტომბრის №27897 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 6 ოქტომბრის №27897 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის წესის“:

ა)მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მომსახურების გაწევის მოთხოვნით საგადასახადო/საბაჟო ორგანოსთვის მიმართვისას (განცხადების წარდგენისას), დაინტერესებული პირი ვალდებულია წარადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (გარდა ასეთი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარდგენისას), გარდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ ან როდესაც პირი გათავისუფლებულია დადგენილი საფასურის გადახდისაგან ან ასეთი მომსახურების გაწევა უფასოა.

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

5. პირი უფლებამოსილია განცხადება, საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი სხვა დოკუმენტები საგადასახადო/საბაჟო ორგანოში წარადგინოს ელექტრონული (CD-დამგროვებლის მეშვეობით) ან მატერიალური ფორმით. ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი ერთი სახისა და შინაარსის მქონე ყველა დოკუმენტი გაერთიანებული უნდა იყოს ერთ ფაილში.";

ბ)მე-3 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომსახურების გაწევისათვის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით დაწესებული ვადის ათვლა იწყება საგადასახადო/საბაჟო ორგანოში განცხადების/დეკლარაციის რეგისტრაციის ან ხელშეკრულების გაფორმების ან სხვა მოქმედების განხორციელების (შესაბამისი პირობების შექმნის) მომდევნო სამუშაო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.";

ბ.ბ) მე-3 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით მომსახურების გაწევისათვის ვადა დადგენილია საათებით, მისი ათვლა იწყება საგადასახადო/საბაჟო ორგანოში განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, თუ ასეთი მომსახურებისათვის დადგენილი ვადა იწურება საგადასახადო/საბაჟო ორგანოს სამუშაო დროის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში მომსახურების გაწევისათვის საათებით დადგენილი ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღის დაწყებისთანავე.

4. თუ პირის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევისათვის სავალდებულოა გარკვეული სახის დოკუმენტების წარდგენა ან პირობების შექმნა, ასეთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან არასრულად წარდგენის შემთხვევაში ან/და შესაბამისი პირობების შექმნამდე ან/და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობისას, საგადასახადო/საბაჟო ორგანო, განცხადების რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ვადის ბოლოს წინა დღისა, პირს წერილობით უთითებს წარმოსადგენი დოკუმენტების ან/და პირობების შექმნის თაობაზე (ადგენს ხარვეზს) და აძლევს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

5. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით მომსახურების გაწევისათვის დადგენილია ერთი დღე ან ვადა დადგენილია საათებით, საგადასახადო/საბაჟო ორგანო პირს ხარვეზს უდგენს დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში.";

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ.გ) მე-8 – მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თუ პირს გადახდილი აქვს საფასური კონკრეტულ ვადაში მომსახურების გაწევისათვის, შესაძლებლობის შემთხვევაში მას მომსახურება უნდა გაეწიოს აღნიშნულ ვადაზე უფრო ადრე (მ.შ. საგადასახადო/საბაჟო ორგანოში განცხადების რეგისტრაციის დღესაც), თუ ამ სახის მომსახურებისათვის უფრო მცირე ვადა არ არის დადგენილი.

8[1]. საგადასახადო/საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, შესაძლებლობის შემთხვევაში პირს მომსახურება გაუწიოს მოთხოვნილ ვადაზე უფრო ადრე, თუ გასულია ამ მომსახურებისათვის დადგენილი ფასიანი მომსახურების მაქსიმალური ვადა.

9. თუ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით შესაბამისი მომსახურების გაწევა მხოლოდ ფასიანია (არ არის გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უფასოდ), ასეთი მომსახურება საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ გაწეული უნდა იქნეს მხოლოდ პირის მიერ საფასურის გადახდის შემდეგ (თუ ამავე საქართველოს მთავრობის დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ამ დადგენილებაში მითითებული ვადების დაცვით.“;

გ)მე-4 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თუ საგადასახადო/საბაჟო ორგანომ ობიექტური მიზეზით ვერ შეძლო დაჩქარებული მომსახურების გაწევა;“;

გ.ბ) მე-3 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ პირმა განცხადების შემოტანის/დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ უარი თქვა მომსახურების გაწევაზე, მას გადახდილი საფასური არ დაუბრუნდება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მომსახურების გაწევის მოთხოვნით საგადასახადო/საბაჟო ორგანოსთვის შემდგომი მიმართვისას, პირი ვალდებულია დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს მომსახურების საფასური.

4. თუ პირის მიერ საფასური გადახდილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით, გადახდილ თანხასა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით მომსახურებისათვის განსაზღვრულ განაკვეთს შორის სხვაობის ან არასწორად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით პირმა უნდა მიმართოს იმ საგადასახადო/საბაჟო ორგანოს, რომლისგანაც მიიღო მომსახურება და განცხადებაში მიუთითოს მისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, წარმოადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ასლი (გარდა, ასეთი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოდგენისას).

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი, პირის მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში, საგადასახადო ან საბაჟო ორგანოს/სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, რომელშიც ასევე უნდა აღინიშნოს თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას.";

დ) მე-5 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომსახურების გაწევის შემდეგ გადასახდელი მომსახურების საფასური საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ აღირიცხება პროგრამულად, „მომსახურების საფასურის აღრიცხვის ბარათზე" (შემდგომში – ბარათი) საფასურის თანხის დარიცხვისა და გადახდის ოპერაციებით.";

დ.ბ) მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) იმპორტის გადასახდელის ოდენობას და შესაბამის სახაზინო კოდს, საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში.";

დ.გ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მომსახურების საფასურის მესამე პირის მეშვეობით გადახდისას, თუ ვერ დასტურდება, რომ დაინტერესებულმა პირმა მომსახურების საფასური გადაიხადა მესამე პირის მეშვეობით, მან თანხის გადატანის მოთხოვნით წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს იმ საგადასახადო/საბაჟო ორგანოს, რომელმაც გაუწია მომსახურება. ამ შემთხვევაში, საგადასახადო/საბაჟო ორგანოს აგრეთვე წარედგინება მესამე პირის წერილობითი განცხადება მომსახურების საფასურის დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გადახდის შესახებ და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო/საბაჟო ორგანო ახორციელებს დაინტერესებული პირის და მესამე პირის ბარათების კორექტირებას – მესამე პირის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის თანხის გადატანას დაინტერესებული პირის დავალიანების დასაფარად (დაინტერესებული პირის/მესამე პირის განცხადებაში მითითებული თანხის ოდენობით).".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დიზაინი პოლიგრაფია



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com